საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/80

ქ. ბათუმი 07 აპრილი, 2022 წელი

2022-2023 სასწავლო წლისათვის მიკოლას რომერის, ვიგოს და ზაარლანდის უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2022 წლის 05 აპრილის MES 6 22 0000350351სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი 2022-2023 სასწავლო წლისათვის მიკოლას რომერის (ლიტვა), ვიგოს (ესპანეთი) და ზაარლანდის (გერმანია) უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების (სამართალმცოდნეობის, ფარმაცის, ქიმის, ბიოლოგიის, თარგმანმცოდნეობა და ენების პროგრამების) სტუდენტთა შერჩევის მიზნით და განისაზღვროს შემდეგი საკონკურსო ვადები:

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული **საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება - 2022 წლის 07 აპრილიდან 25 აპრილის 18:00 საათამდე** (სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის სამსახურის დახმარებით) - ელექტრონულ პლატფორმაზე http://registration.bsu.ge და ელექტრონულ ფოსტაზე: erasmus@bsu.edu.ge;

ბ) ტესტირება/გამოცდა უცხოურ ენებში (ინგლისური B1/B2, გერმანული B1) - 2022 წლის 27 აპრილი, 10:00 -13:00 საათი.

გ) **საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება** - 2022 წლის 27 აპრილი 15:00-18:00 საათი, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის (საკონკურსო კომისიის) მიერ;

დ) **გასაუბრება კონკურსანტებთან - 2022 წლის 28-29 აპრილი** (გასაუბრების ჩატარების ზუსტი დრო დამატებით ეცნობოს კონკურსანტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე);

ე) ბსუ-ს მიერ კონკურსანტთა სიების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტში - 2022 წლის 29 აპრილი.

2. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის ძირითადი შემადგენლობა:

ა) მერაბ ხალვაში - რექტორი (თავმჯდომარე);

ბ) ანზორ ბერიძე -რექტორის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე);

გ) თამარ სირაძე -რექტორის მოადგილე;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ე) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი ;

ვ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (მდივანი);

ზ) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

თ) მარინე გიორგაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ/შ;

ი) მარინა ქორიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მ/შ.

3. სტუდენტების კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' განსაზღვრული კრიტერიუმებით და პროცედურებით.

4. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა ანზორ ბერიძემ.

5. ბრძანების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდსა (კონკურსების ველში) და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე) განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და კანცელარიამ, მათი კომპეტენციების შესაბამისად.

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს) და საკონკურსო კომისიის წევრებს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**